საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

განხილვის კოლეგიის შემადგენლობა:

დათუნა მოდებაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

დავით კაკაბაძე - კოლეგიის წევრი

გიორგი ბეგიაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორები: მ. მ., ზ. ხ., ბ. ჭ., მ. ო., დ. კ., თ. ც., ლ. ა.

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 066/10

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლ. ჩ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ჩ.-ისათვის ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2010 წლის 27 აგვისტოს №05/10 გადაწყვეტილების თანახმად, მეხუთე დისციპლინურ კოლეგიას ჩამოერთვა დისციპლინურ საქმე №027/10 ადვოკატ ლ. ჩ.-ის მიმართ და შემდგომში განხილვისათვის გადაეცა მეორე დისციპლინურ კოლეგიას. მეორე დისციპლინურ კოლეგიას ადვოკატ ლ. ჩ.-ზე განსახილველად გადაცემული ჰქონდა დისციპლინური საქმე №036/10. მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ იხელმძღვანელა რა ადვოკატთა დისციპლინური წარმოების და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-16 მუხლის პირველი ნაწილით ეთიკის კომისიის 06/10 გადაწყვეტილების თანახმად ერთ დისციპლინურ წარმოებად გააერთიანა ზემოაღნიშნული საქმეები, კერძოდ მ. მ.-ის და სხვების, ასევე ლ. ა.-ის მიერ შემოტანილი საჩივრები ადვოკატ ლ. ჩ.-ის წინააღმდეგ.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორების პოზიცია:**

1.1 2010 წლის 17 მაისს საქართველოს მოქალაქეებმა: მ. მ.-მ, ზ. ხ.-მა, ბ. ჭ.-მ, მ. ო.-მ, დ. კ.-მა, თ. ც.-მ და ლ. ა.-მა მომართეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვეს ადვოკატ ლ. ჩ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 განმცხადებლებმა საჩივარში აღნიშნეს, რომ 2009 წლის ოქტომბერში მიმართეს ადვოკატ ლ. ჩ.-ს, გააცნეს საქმის არსი და სთხოვეს სასამართლოში დაეცვა მათი ინტერესები.

1.3 2009 წლის 19 ოქტომბერს საჩივრის ავტორებსა და ადვოკატ ლ. ჩ.-ს შორის დაიდო ხელშეკრულებები საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატს უნდა უზრუნველყო მხარეების წარმომადგენლობა უზენაეს სასამართლოში. საქმის წაგების შემთხვევაში კი დავა უნდა დაწყებულიყო თავიდან საქალაქო სასამართლოში. მხარეებს ადვოკატისათვის უნდა გადაეხადათ 2000 აშშ დოლარი უზენაეს სასამართლოში წარმომადგენლობისათვის, ხოლო სამოქალაქო სასამართლოში დავის დაწყების შემთხვევაში - 4000 აშშ დოლარი.

1.4 საჩივრის ავტორებმა ადვოკატს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე გადასცეს 2000 აშშ დოლარი.

1.5 2009 წლის 28 ოქტომბერს, უზენაესს სასამართლოში სარჩელის შეტანის ბოლო დღეს, ადვოკატმა წარუდგინა მხარეებს სარჩელი ხელის მოსაწერად, ასევე ახალი ხელშეკრულებები 4000 აშშ დოლარის გადახდის გრაფიკის შესახებ.

1.6 საჩივრის ავტორები არ იყვნენ თანახმა, ხელი მოეწერათ ახალ ხელშეკრულებებზე.

1.7 საჩივრის ავტორის თანახმად, ადვოკატმა ლ. ჩ.-მ მხარეებს განუცხადა, რომ არ შეიტანდა სასამართლოში სარჩელს, თუ ხელს არ მოაწერდნენ მის მიერ წარდგენილ ხელშეკრულებებს.

1.8 განმცხადებელები იძულებული გახდნენ ხელი მოეწერათ ახალ ხელშეკრულებებზე საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ.

1.9 განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ მოითხოვეს ხელშეკრულების ასლები, ადვოკატი დაჰპირდა მათ, რომ მიაწოდებდა, მაგრამ არ მიუწოდებია.

1.10 საჩივრის ავტორები არ იყვნენ კმაყოფილების ადვოკატის მიერ მომზადებული საკასაციო სარჩელით, რის გამოც მიმართეს სხვა ადვოკატს და მოამზადებინეს დაზუსტებული სარჩელი.

1.11 2009 წლის 30 ოქტომბერს განმცხადებლები შეხვდნენ ადვოკატ ლ. ჩ.-ს და სთხოვეს ხელშეკრულების შეწყვეტა, ასევე გადახდილი - 2000 აშშ დოლარის დაბრუნება.

1.12 განმცხადებლები აღნიშნავენ, რომ 2009 წლის 30 ოქტომბრის შემდეგ ადვოკატს ვერ დაუკავშირდნენ და თავადაც აღარ გამოჩენილა.

1.13 2010 წლის 11 ივნისს ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას მომართა მოქალაქე ლ. ა.-მ და ადვოკატ ლ. ჩ.-ის მიმართ მოითხოვა დისციპლინური დევნის აღძვრა.

1.14 ლ. ა.-მ განმარტა, რომ 2009 წელს ადვოკატთა ასოციაციის წევრს - ლ. ჩ.-ს უნდა დაეცვა მისი, როგორც ბინის მესაკუთრის კანონიერი ინტერესები თბილისის საქალაქო სასამართლოში, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი უთანხმოების შედეგად, სამოქალაქო კოდექსიდან გამომდინარე დავასთან დაკავშირებით.

1.15 მომჩივანის განმარტებით, მან ადვოკატ ლ. ჩ.-ს გადასცა ყველა ის დოკუმენტი და აცნობა ყველა ის გარემოება, რომელიც მისთვის ცნობილი იყო აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით.

1.16 ამასთან, საჩივრის ავტორმა ადვოკატს განუცხადა, რომ როგორც მისთვის ცნობილი იყო, მოსარჩელეებმა წინათაც მიმართეს სასამართლოს საცხოვრებელი სადგომის საკუთრების უფლებით აღრიცხვის მოთხოვნით და მისი ინფორმაციით სასამართლოს უკვე გამოტანილი ჰქონდა გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმეზე.

1.17 საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ ადვოკატმა ლ. ჩ.-მ საქალაქო სასამართლოში პროცესის დროს განუცხადა, რომ თუ არ ეცოდინებოდა სასამართლო გადაწყვეტილების ზუსტი თარიღი, არა მარტო წელი, არამედ ზუსტი თვეც, სასამართლო არქივი ისე არ გასცემდა სასამართლო გადაწყვეტილებას.

1.18 საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ პირადად მივიდა სასამართლოს არქივში და მხოლოდ გვარების მითითებით გადასცეს მას სასამართლოს ორი გადაწყვეტილება.

1.19 საჩივრის ავტორის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ის უმუშევარი იყო, იძულებული გახდა ადვოკატ ლ. ჩ.-ისათვის გადაეხადა 800 ლარი, იურიდიული მომსახურების თანხა.

1.20 საჩივრის ავტორის განმარტების თანახმად, ადვოკატმა ლ. ჩ.-მ პროცესი წააგო და მან სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში საკუთარი ძალებით გაასაჩივრა. ლ. ა. თავად გაეცნო სასამართლო სხდომის ოქმსა და მასალებს, საიდანაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ მისი ინტერესების დაცვის ნაცვლად, ადვოკატი ლ. ჩ. პროცესზე მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს იცავდა.

1.21 მომჩივნის განმარტებით, საბოლოოდ მან ადვოკატის არაკომპეტენტურობის გამო დაკარგა მისი კუთვნილი ბინა, რის გამოც მიადგა მატერიალური და მორალური ზიანი.

1.22 საჩივრის ავტორები მიიჩნევენ, რომ ადვოკატმა ლ. ჩ.-მ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდქსის მე-3 მუხლი, მე-5 მუხლი, მე-8 მუხლის მე-7, მე-8, მე-13 და მე-14 პუნქტები.

2. ადვოკატ ლ. ჩ.-ის პოზიცია:

2.1 ადვოკატი ლ. ჩ. განხილვის კოლეგიის მიერ დანიშნულ 2010 წლის 31 აგვისტოს სხდომაზე არ გამოცხადდა. შესაბამისად, განხილვის კოლეგია დაეყრდნო ადვოკატის მიერ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარდგენილ ახსნა-განმარტებას.

2.2 ადვოკატის განმარტებით, იგი იცავდა მოქალაქეების მ. მ.-ის, ზ. ხ.-ის, ბ. ჭ.-ის, მ. ო.-ის, დ. კ.-ისა და თ. ც.-ის ინტერესებს უზენაეს სასამართლოში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 04/08/2009 წლის გადაწყვეტილებაზე საქმე #2ბ/XXX-XX ი. დ.-სა და სხვების მათდამი ქონებრივი დავის გამო.

2.3 ლ. ჩ.-ის განმარტებით, მხარეებთან დაიდო ორი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება 2009 წლის 19 და 26 ოქტომბერს.

2.4 2009 წლის 19 ოქტომბერს დადებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და საქმეში არსებული დოკუმენტების სამართლებრივი ანალიზი და სამომავლო მოქმედების სტრატეგიის განსაზღვრა. ხელშეკრულების თანახმად, საადვოკატო მომსახურების გაწევისთვის ჰონორარი წარმოადგენდა თითოეული განმცხადებლისთვის 373 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში.

2.5 2009 წლის 26 ოქტომბრის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 04/08/2009 წლის გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრება და მითითებულ საქმეზე მათი უფლებების დაცვა. საადვოკატო მომსახურების გაწევისთვის ჰონორარი წარმოადგენდა თითოეული განმცხადებლისათვის - 665 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარის ოდენობით.

2.6 ადვოკატი განმარტებაში აღნიშნავს, რომ 2009 წლის 19 ოქტომბრის ხელშეკრულებას გაეცნო ყველა განმცხადებელი და ამის შემდგომ მოაწერეს ხელი. აღნიშნული ხელშეკრულებები მ. ო.-

ის ინიციატივით ასლების გადასაღებად გადასცა ქალბატონ ზ. ხ.-ს, რომელმაც დედნები დაუბრუნა მოგვიანებით.

2.7 ადვოკატის განმარტების მიხედვით, 2009 წლის 26 ოქტომბრის ხელშეკრულებას გაეცნო თითოეული მათგანი და ამის შემდეგ მოაწეეს ხელი. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მხარეებს არ გადასცა აღნიშნული ხელშეკრულებების ასლები, რადგან მათი მხრიდან მოთხოვნა არ ყოფილა.

2.8 ადვოკატის განმარტებით, მან 2009 წლის 19 ოქტომბრის ხელშეკრულების გაფორმების დღესვე მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს შესაბამის მოსამართლეს საქმეში არსებული დოკუმენტების შესწავლის მიზნით.

2.9 2009 წლის 19 ოქტომბრის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ადვოკატმა საქმის მასალების შესწავლის შემდეგ განუმარტა მხარეებს, რომ არსებობდა ძალიან დიდი ალბათობა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო საკასაციო საჩივარს არ დააკმაყოფილებდა.

2.10 მხარეების მოთხოვნით, ადვოკატმა მოამზადა საკასაციო საჩივარი და 2009 წლის 28 ოქტომბერს შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

2.11 ადვოკატი განმარტებაში აღნიშნავს, რომ 2009 წლის 02 ნოემბერს, როდესაც დადგა მათი მხრიდან ჰონორარის გარკვეული ნაწილის გადახდის პერიოდი, ზ. ხ. დაუკავშირდა მას და აცნობა, რომ ჰქონდათ ფინანსური პროლემები და უახლოეს დღეებში გადაუხდიდნენ შესაბამის თანხას.

2.12 2009 წლის 10 ნოემბერს განმცხადებლები დაუკავშირდნენ ადვოკატს და მოსთხოვეს ხელშეკრულების შეწყვეტა და 2009 წლის 10 ოქტომბრის ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდილი თანხების უკან დაბრუნება. ადვოკატის განმარტებით, ხელშეკრულების შეწყვეტის მიზეზად დაასახელეს ის, რომ მის მიერ მომზადებული საკასაციო საჩივარი გააცნეს სხვა ადვოკატს და მის მიერ მოცემული საჩივარი არ იქნა დადებითად შეფასებული.

2.13 ადვოკატმა თანხის დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ 2009 წლის 19 ოქტომბრის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მე-5.2 პუნქტის თანახმად - „ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდილი თანხები უკან არ ბრუნდება.“

2.14 იქიდან გამომდინარე, რომ განმცხადებლებმა 2009 წლის 26 ოქტომბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები დადგენილ ვადებში არ გადაიხადეს, ამავე ხელშეკრულების 2.4.1 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულებები შეწყვეტილია.

2.15 2009 წლის დეკემბრის თვეში, განმცხადებლების თხოვნით, ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტი წერილობით გაფორმდა, რაც გაეგზავნა მხარეებს.

2.16 ადვოკატი განმარტავს, რომ მხარეებს დაუბრუნა საქმესთან დაკავშირებული მასალები და მასთან არანაირი დოკუმენტები არ ინახება.

2.17 ადვოკატ ლ. ჩ.-ის განმარტებით, ის ასევე იცავდა ლ. ა.-ის, როგორც მესაკუთრის ინტერესებს, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ, კანონიდან გამომდინარე, საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლეთა მიერ აღძრულ დავასთან დაკავშირებით. ადვოკატის განმარტებით, მან კეთილსინდისიერად, კვალიფიციურად და კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით წარადგინა თავისი კლიენტის - ლ. ა.-ის ინტერესები სასამართლოში.

2.18 ადვოკატის განმარტებით, მას არ ჰქონდა არანაირი ინფორმაცია, რაც მისცემდა მას საშუალებას დაინტერესებულიყო, მოეპოვებინა და წარედგინა სასამართლოს წინაშე მომჩივნის მიერ

მითითებული სასამართლო გადაწყვეტილებები, რაც შეეხება ლ. ა.-ის პოზიციას მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებით, ადვოკატის განმარტებით, მას არ აუღია ვალდებულება მომჩივანთან, მის მიერ მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ, ადვოკატის განმარტებით, ყველა მტკიცებულება საქმეზე თავად მომჩივანს უნდა მოეპოვებინა და წარმოედგინა მისთვის.

2.19 ადვოკატმა ლ. ჩ.-მ უარყო საჩივრებში მითითებული გარემოებები და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2010 წლის 17 ივნისისა და 07 ივლისის გადაწყვეტილებით, საპროცესო კოლეგიებმა დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე გადაწყვეტილება გამოიტანეს.

3.2 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ ლ. ჩ.-ის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩაითვალოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პირველი მუხლი, მე-3 მუხლი, მე-5 მუხლი, მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-8 პუნქტები, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი, მე-5 მუხლის „ა“, „ბ“, „ე“ ნაწილი და მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

3.3 საპროცესო კოლეგიის აზრით, ადვოკატ ლ. ჩ.-ს შეეძლო და უნდა მოეპოვებინა სათანადო მტკიცებულებები თავისი მარწმუნებლის ინტერესების დასაცავად და წარედგინა იგი სასამართლოს წინაშე. ამასთან, ადვოკატს უნდა მიეწოდებინა კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულების ასლები მის დადებამდე.

II სამოტივაციო ნაწილი

1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

1.1 **განხილვის კოლეგიის მიერ დადენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:**
საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1.1.1 ადვოკატსა და განმცხადებლებს - მ. მ.-სა და სხვებს შორის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებები დაიდო 2009 წლის 19 ოქტომბერსა და 2009 წლის 26 ოქტომბერს, ხოლო ლ. ა.-სთან - 2009 წლის 31 მარტს.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. განმცხადებლების 2010 წლის 17 მაისის და 11 ივნისის საჩივარი (პირველი გვერდი; პირველი აბზაცი);
2. განმცხადებლების 2010 წლის 16 ივნისის და 07 ივლისის ახსნა-განმარტება (პირველი გვ. პირველი, მე-2 და მე-3 აბზაცი);
3. ადვოკატ ლ. ჩ.-ის 2010 წლის 24 მაისისა და 05 ივლისის ახსნა-განმარტება (პირველი გვ. მე-3 აბზაცი).

1.1.2. ადვოკატმა ლ. ჩ.-მ განმცხადებლებისაგან - მ. მ.-ისაგან და სხვებისგან მიიღო - 2000 დოლარის ექვივალენტი ლარებში, ხოლო ლ. ა.-ისაგან - 800 ლარი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. განმცხადებლების 2010 წლის 17 მაისის და 11 ივნისის საჩივარი (პირველი გვ. პირველი და მე-2 აბზაცი);
2. განმცხადებლების 2010 წლის 16 ივნისის და 07 ივლისის ახსნა-განმარტება (პირველი გვ. მე-2 აბზაცი);
3. ადვოკატ ლ. ჩ.-ის 2010 წლის 24 მაისის ახსნა-განმარტება (მე-2 გვ. მე-2 აბზაცი).

2. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა და საქმის განმხილველი საპროცესო კოლეგიის თავმჯდომარეების ახსნა-განმარტებები და თვლის, რომ ადვოკატ ლ. ჩ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

3. სამართლებრივი შეფასება:

3.1 განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ლ. ჩ.-ის მიერ დარღვეული იქნა შემდეგი მუხლები:

ა) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი - „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა ფინანსური ვალდებულება, რაც დაკავშირებულია მის საქმის წარმოებასთან“;

ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი - „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის“;

გ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლით, ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს ურთიერტშეთანხმების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-5 ნაეილით, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა, (მე-6 პუნქტი) ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების შესახებ.

3.2 მ. მ.-ისა და სხვების მიერ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებების ასლები აუცილებლად უნდა იყოს მიწოდებული კლიენტისათვის, ხელშეკრულების დადებისთანავე, ან თუ არსებობს ობიექტური ხელისშემშლელი გარემოება, ამ გარემოების აღმოფხვრისთანავე. ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, მისი დადასტურების შემთხვევაშიც კი, რომ მხარეები ადვოკატის თანდასწრებით გაეცნენ ხელშეკრულებას და ამის შემდგომ მოაწერეს ხელი, რადგან შეუძლებელია, რომ მხარემ გონივრულად გაითვალისწინოს, რო მეორე მხარე, მით უმეტეს თუ ის მომხმარებელია, ზეპირად დაიმახსოვრებს რამდენიმე გვერდიან ხელშეკრულებას, რომელიც, როგორც წესი შეიცავს სტანდარტულ პირობებს, რომლებიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომხმარებლისათვის სამოქალაქო კოდექსის 343-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად. აღნიშნული ნორმა კოლეგიის მიერ განიმარტება იმგვარად, რომ ადვოკატს

კლიენტისათვის არამარტო ხელშეკრულების დადებისას, არამედ მისი მოქმედების განმავლობაშიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობები.

3.3 საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას ხელშეკრულების საგნის, მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების, ადვოკატის ჰონორარის გადახდის გრაფიკისა და სხვა დამატებითი პირობების თაობაზე. შესაბამისად, ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია კლიენტისათვის ადვოკატის მიერ მთელი საადვოკატო მომსახურების გაწევის პერიოდში, რათა შეძლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მუდმივი გაკონტროლება.

3.4 კოლეგია მიიჩნევს, რომ აღნიშნული ხელშეკრულებების ასლები ხელმოწერის შემდგომ ადვოკატმა უპირობოდ უნდა გადასცეს მხარეებს, მიუხდავად იმისა, არსებობს თუ არა მხარეებისაგან ხელშეკრულების ასლის მოთხოვნა, მით უმეტეს, როდესაც როგორც განსახილველ შემთხვევაში არსებობს სადაო ფაქტობრივი გარემოება - კლიენტისაგან ხელშეკრულების გადაცემის მოთხოვნის დაყენება.

3.5 ადვოკატმა ლ. ჩ.-მ 2009 წლის 26 ოქტომბრის საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებზე მხარეებს ხელი მოაწერინა საკასაციო საჩივრის წარდგენის ამოწურვის ვადამდე მცირე ხნით ადრე, რითაც დაარღვია შემდეგი მუხლი:

> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილი - „ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით“.

3.6 მხარეთა შორის დადებული 19 ოქტომბრის ხელშეკრულება, მართალია არ ითვალისწინებდა კლიენტების უზენაეს სასამართლოში წარმომადგენლობას, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატმა მოიძია საქმის მასალები და ადვოკატის მიერ 19 ოქტომბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასკვნის (ზეპირი ფორმით) კლიენტებისათვის წარდგენიდან საკასაციო საჩივრის წარდგენის ზღვრულ ვადამდე დარჩენილი იყო ორი დღე, კლიენტებს შეიძლება შექმნოდათ გონივრული ვარაუდი, რომ ადვოკატი განახორციელებდა მათ დაცვას უზენაეს სასამართლოში, მით უმეტეს, რომ საკასაციო საჩივრის წარდგენისათვის დარჩენილი ვადის განმავლობაში, ადვოკატი საქმის შესწავლით იყო დაკავებული.

3.7 დარჩენილი ორი დღის განმავლობაში, კლიენტი სავარაუდოდ ვერ შეძლებდა სხვა ადვოკატთან შეთანხმებას, რომელიც ამავე ვადაში უნდა გაცნობოდა საქმეს, კვალიფიციურად დაეწერა კლიენტების საკასაციო საჩივარი და წარედგინა ის. შესაბამისად, ის გარემოება, რომ ადვოკატი უარს აცხადებდა კლიენტების წარმომადგენლობაზე, თუ ისინი არ დათანხმდებოდნენ მის მიერ შეთავაზებულ საადვოკატო ჰონორარის გადახდას იმ პირობებში, როდესაც:

3.7.1 ადვოკატი რვა დღის განმავლობაში სწავლობდა საქმეს;

3.7.2 ადვოკატმა წარუდგინა კლიენტებს დასკვნა საკასაციო ინსტანციის სავარაუდო შედეგის შესახებ, რაშიც მან აიღო ანაზღაურება;

3.7.3 საკასაციო საჩივრის შეტანამდე დარჩენილ იყო სამი დღე, ხოლო სადაო ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, უფრო ნაკლები პერიოდი.

3.8 განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. ჩ.-ის უარი საკასაციო საჩივრის წარდგენაზე კლიენტების მხრიდან ადვოკატის შეთავაზებული ხელშეკრულების პირობებზე დათანხმების

გარეშე, შეიძლება შეფასებულ იქნას, როგორც ადვოკატის უარი საქმეზე ისეთ გარემოებაში, როდესაც კლიენტს არ შეეძლო სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით დროულად ესარგებლა.

3.9 განხილვის კოლეგიის აზრით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევად შესაძლოა მიჩნეულ იქნას ადვოკატის მიერ არაეთიკური ქმედების განხორციელების მუქარაც, იმის და მიუხედავად, შემდგომში შეასრულა თუ არა კონკრეტული ქმედება.

3.10 ლ. ა.-ის მიერ წარმოდგენილ საჩივართან დაკავშირებით, განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მომჩივნისა და ადვოკატის მიერ 2010 წლის 07 ივნისს ს.ს.ი.პ. „ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაზე მიცემული ახსნა-განმარტებით დასტურდება, რომ ადვოკატს კლიენტმა მიაწოდა ინფორმაცია საქმეზე სხვა სასამართლო გადაწყვეტილებების არსებობის შესახებ. ადვოკატმა არ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება მოეპოვებინა კლიენტის მიერ მითითებული მტკიცებულება და კლიენტის ინტერესის გათვალისწინებით წარედგინა იგი სასამართლოზე.

3.11 2010 წლის 07 ივნისს ს.ს.ი.პ. „ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაზე ადვოკატის მიერ მიცემული ახსნა-განმარტებით დასტურდება, რომ კლიენტმა მიაწოდა მას ინფორმაცია საქმეზე სხვა სასამართლო გადაწყვეტილების არსებობის შესახებ, რომელიც დადებითად იმოქმედებდა მის საქმეზე, ასევე მიუთითა მხარეები. მართალია ლ. ა.-ს ადვოკატისათვის კონკრეტულად არ უცნობებია გადაწყვეტილების ზუსტი თარიღი, მაგრამ ადვოკატს არანაირი კონკრეტული ქმედება არ განუხორციელებია. მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ადვოკატმა არ მოიმოქმედა არაფერი ამ მტკიცებულებების მოსაპოვებლად, არ გაითვალისწინა კლიენტის მოთხოვნა, რომელიც მიუთითებდა, რომ აღნიშნულ დავაზე ძველ გადაწყვეტილებას საქმისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

3.12 რაც შეეხება ადვოკატის პოზიციას მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებით, და მის განმარტებას, მასზედ რომ მას არ აუღია ვალდებულება მომჩივანთან, მის მიერ მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ და ყველა მტკიცებულება საქმეზე მომჩივანს თავად უნდა მოეპოვებინა და წარმოედგინა მისთვის, ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს.

3.13 საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისთ (მუხლი 2,5,6) არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პოფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად წარსადგენად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის.

3.14 ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულება (მოცემულ შემთხვევაში ზეპირი ფორმით), სანოტარო ფორმით გაცემული რწმუნებულება და საადვოკატო მომსახურებისათვის - კონკრეტული დავალების შესრულებისათვის მიღეული ანაზღაურება, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით (მუხლი 2,5,6), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2, მე-5 მუხლების შესაბამისად ავალდებულებს ადვოკატს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მიმართოს მტკიცებულებების მოპოვებისათვის კანონით გათვალისწინებულ საშუალებებს, რაც მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ არ

განხორციელებულა, რითიც დაირღვა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი, მე-5 მუხლის „ა“, „ბ“, „ე“ ქვეპუნქტები, მე-6 მუხლი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პირველი, მე-3, მე-5 მუხლები.

3.15 უნდა აღინიშნოს, რომ საჩივრის ავტორმა, მას შემდეგ, რაც თავად მოიპოვა მტკიცებულება, ახსნა-განმარტების მიხედვით, წარადგინა ის სააპელაციო სასამართლოში და მოითხოვა მისი სათანადო წესით დართვა, მაგრამ სასამართლოს მიერ აღნიშნული მტკიცებულება არ იქნა მიღებული და გაზიარებული დაგვიანებით წარმოდგენის გამო.

3.16 მხარემ გადაწყვეტილების გასაჩივრებით, საქმეზე ახალი მტკიცებულებების მოპოვებითა და სასამართლოში წარდგენით კიდევ ერთხელ გამოხატა საკუთარი პოზიცია დავასთან დაკავშირებით და იურიდიული ინტერესი იმისა, რომ მას არ სურდა დავის ფორმალურად წარმოება, როგორც ამას ადვოკატი უთითებს, არამედ დავის მოგების და მიღებული გადაწყვეტილების შეცვლის რეალური სურვილი გააჩნდა.

3.17 ს.ს.ი.პ. „ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიამ ასევე იმსჯელა მომჩივნის მიერ მითითებულ გარემოებაზე, რომლის თანახმად ადვოკატმა, მიუხედავად მხარის მოთხოვნისა, საქმის განხილვისას არ წამოაყენა მორიგების პირობა.

3.18 2009 წლის 29 აპრილის სხდომის ოქმით (გვ.2), საჩივრის ავტორის წარმომადგენელი კატეგორიული წინააღმდეგია მორიგებისა, ანალოგიურ პოზიციას აფიქსირებს აგრეთვე ის აღნიშნულ სხდომის ოქმში (გვ.6), რაც დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ დაირღვა ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-11 ნაწილის მოთხოვნები და ადვოკატმა უსაფუძვლოდ, საქმეში არსებულ გარემოებათა გაუთვალისწინებლად უარი თქვა მორიგებაზე და ასევე კლიენტს არ ურჩია საქმის მორიგებით დასრულება. მართალია მოცემულ შემთხვევაში პირდაპირი მტკიცებულებებით არ დასტურდება მორიგებაზე უარის თქმა განპირობებული იყო უშუალოდ ადვოკატის გადაწყვეტილებით, თუ ეს წარმოადგენდა მხარის პოზიციას, მაგრამ მორიგებაზე უარის თქმამ დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებითად დააზარალა მხარის პოზიცია.

3.19 ს.ს.ი.პ. „ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისია ვერ გაითვალისწინებს საჩივრის ავტორის პოზიციას, მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების წარმოდგენასთან დაკავშირებით და საქმის სასამართლო განხილვაზე მოპასუხე მხარისათვის, მონაწილეობის მიღების აკრძალვის შესახებ, ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია სხვა სათანადო მტკიცებულებების არარსებობის გამო ვერ მიიჩნევს საჩივარში მოყვანილ ამ გარემოებებს დადასტურებულად.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების მე-18 და მე-20 მუხლებით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-8 პუნქტებით და გადაწყვიტა:

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ლ. ჩ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილების მიცემა.
2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს ადვოკატს გადაწყვეტილების გაოტანიდან 5 დღის განმავლობაში.
3. ადვოკატ ლ. ჩ.-ს უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /დათუნა მოდებაძე/

კოლეგიის წევრი: /დავით კაკაბაძე/

კოლეგიის წევრი: /გიორგი ბეგიაშვილი/